ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

The Association
"Women of Multinational Georgia"

**„არა, ოჯახში ძალადობას!"**

**მემორანდუმი**

ასოციაცია „მრავალეროვანი საქართველოს ქალები"და ქალაქ ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ბოლნისი 2017 წელი

ასოციაცია „მრავალეროვანი საქართველოს ქალები" (ს/კ 205002744) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის, ალლა ბეჟენცევას სახით და ქ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მისი გამგებელის, დავით შერაზადიშვილის სახით, გამოხატავენ რა ორმხრივ ინტერესს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი "**არა, ოჯახში ძალადობას!**"-ს (შემდგომში „პროექტი") ფარგლებში თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ პროექტის მიზნისა და პირობების გაუმჯობესებას, ერთობლივი ღონისძიებების, შეხვედრების დაგეგმვას და განხორციელებას, თანხმდებიან შემდეგზე:

*მუხლი 1*

მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:

ა) პროექტის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა;
ბ) საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის მუშაობის ხელშეწყობა;
გ) ქ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის 2 საშტატო ერთეულის შრომის ანაზღაურება.
დ) პროექტის რეალიზაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ხელშეწყობა და მათში აქტიური მონაწილეობა, კომპეტენციის ფარგლებში;
ე) ქსელის შექმნაში ერთობლივი მონაწილეობის მიღება, კომპეტენციის ფარგლებში;
ვ)პროექტის დასრულების მიუხედავად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში.

*მუხლი 2*

მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

*მუხლი 3*

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები

*მუხლი 4*

1.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

*მუხლი 4*

1.მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

2. მემორანდუმის მოქმედების ვადა წყდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, თუ რომელიმე მხარე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

*მუხლი 5*

მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ასოციაცია

„მრავალეროვანი საქართველოსქალები"-ს

პრეზიდენტი: ალლა ბეჟენცევა

ქ. ბოლნისისმუნიციპალიტეტისგამგეობა,

გამგებელი: დავით შერაზადიშვილი